იამატოს რასის კონცეფცია და ტანაკას მემორანდუმი იაპონური ფაშიზმის იდეოლოგიაში

ლეილა (ია) ხუბაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: Leila.khubashvili@tsu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0002-7784-4637

აბსტრაქტი. XX საუკუნე ისტორიაში მუსოლინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაშიზმის ერად იქცა; ფაშისტური იდეოლოგია გავრცელდა ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე, ბრიტანეთში, აზიაში და რელიგიური მრავალფეროვნება მიიღო: კათოლიკური, პროტესტანტული, მართლმადიდებლური და ა.შ. წინამდებარე სტატიის მიზანია გაანალიზოს იაპონურ ფაშიზმთან დაკავშირებული დისკურსი, რომელმაც ბოლო პერიოდში იაპონურ და დასავლურ ისტორიოგრაფიაში ფართო ინტერესი გამოიწვია. არსებობდა თუ არა ფაშიზმი იაპონიაში? ამ საკითხზე ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. იაპონელ მკვლევართა ნაწილი: ტაკაში, ტაკეხირო, ტაკაჰი და ინგლისურენოვანი მეცნიერები: ბერგერი, გარონი, კაზა, ბრაუნი, დუსი, სპილმანი და ოკიმოტო ამტკიცებენ, რომ იაპონია ფაშისტური სახელმწიფო არ იყო. მათ ჩამოაყალიბეს შემდეგი არგუმენტები: 1. იაპონიაში არ ყოფილა მასობრივი ფაშისტური მოძრაობა; 2. იაპონიას არ ჰყავდა ფაშიზმისთვის დამახასიათებელი ქარიზმატული ლიდერი; 3. იაპონიაში ფაშისტების მიერ ძალაუფლების უზურპაცია არ მომხდარა; 4. ამ დროს იაპონიაში მომხდარი ტერორისტული აქტები სახელმწიფოს მიერ იყო შთაგონებული და დაფინანსებული; 5. იაპონიაში არ არსებობდა კორპორატიული სისტემა; 6. იაპონია უნიკალური ქვეყანაა და მასზე გავლენას არ ახდენს სხვა ქვეყნებში ისტორიული პროცესების გასარკვევად გამოყენებული ტრადიციული ისტორიული კატეგორიები.

იაპონიას ფაშისტურ ქვეყნად მიიჩნევენ არა მხოლოდ მარქსისტები, არამედ სხვა იაპონელი მკვლევარებიც: კინძო, ჰიროზუმი, მასაო, კიოტადა, ტეცუო, იოშიაკი. ამ იდეას ასევე მხარს უჭერენ ბიქსი, გორდონი, რეინოლდსი და ტანსმანი. ისინი განიხილავენ იაპონურ „იმპერიულ ფაშიზმს“, გერმანიისა და იაპონიის ანალოგიურ სიტუაციებს (ძალაუფლების კულტი, ყველაფრის დაშვება, ეროვნული უნიკალურობა, დიქტატურა, „იამატოს რასის“ ექსპანსიური პოლიტიკა) და იაპონიას „კომპოზიტურ ფაშისტურ სახელმწიფოდ“ მოიხსენიებენ. რეინოლდსის აზრით, „იმპერატორის ძალაუფლებაზე დაფუძნებული იდეოლოგია იაპონური სტილის ფაშიზმის ფორმაა“. შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოში ბევრმა მკვლევარმა აღმოაჩინა „ფაშიზმის კულტურა“ და „ფაშისტური ესთეტიკა“ იაპონიის მოდერნიზაციასთან და „კრიზისის ფაშისტური მეთოდებით მართვასთან“ დაკავშირებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს იაპონური ფაშიზმის ისეთი სპეციფიკური თავისებურებები, როგორიცაა, მაგალითად: 1. იაპონური ფაშიზმის დროშა, რომელიც გამოხატავდა არა პარტიას, არამედ იმპერატორს; 2. ტანაკას 7 ეტაპიანი გეგმა; 3. იამატოს უმაღლესი რასის დომინირება აზიაში; 4. ეროვნული რელიგიის – შინტოსა და სამურაების კოდექსის „ბუსიდოს“ იდეის სინთეზი.

ზოგიერთი მკვლევარი იაპონიას ფაშისტურად 1930 წლიდან მიიჩნევს და ამას შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებს: 1. მილიტარისტული იაპონიის მთელი პატრიოტული კულტი აგებულია იმპერატორის თაყვანისცემასა და მის მსახურებაზე; მას „მზის ძედ“ და შინტოს უმაღლეს იერარქიად მიიჩნევენ. ანალოგიურად, იაპონური ძალაუფლების მოდელში იმპერატორი მნიშვნელოვანია არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც ფუნქცია. 2. იმპერატორ ჰიროჰიტოს „აზიელ ჰიტლერს“ უწო-

დებდნენ და ის არ გასამართლებულა მხოლოდ იმიტომ, რომ ტოჯომ და სხვა გენერლებმა სრული პასუხისმგებლობა აიღეს დანაშაულზე. ეს სამურაების ეთიკის გამოვლინება იყო. 3. კორპორატიული სისტემა. იაპონიაში საიბაცუს კორპორაცია ჯერ კიდევ შოუას ეპოქამდე არსებობდა და ზოგიერთი მათგანი: მიცუბიში, მიცუი, სუმიტომო, ისეთივე წარმატებით თანამშრომლობდა მილიტარისტულ მთავრობასთან, როგორც სიმენსი, ტისენი და კრუპი გერმანიაში. 4. იაპონიას იგივე მიზნები ჰქონდა, რაც ღერძის ქვეყნებს: მსოფლიოს გადანაწილება და კომუნიზმთან ბრძოლა. 5. იაპონიამ გენოციდის მეთოდები გამოიყენა 1937 წელს, როდესაც ნანჯინგში 500 000 ადამიანი გაანადგურა. 6. შინტომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იაპონურ ფაშიზმში, რამაც იაპონური უნიკალურობის კონცეფციას დოგმატური ხასიათი მისცა. 7. იაპონური დროშა კიოკუძიცუ დღემდე სასტიკად აღიქმება ჩინეთსა და კორეაში. 8. ფაშისტური პარტიის როლს იაპონიაში სამხედრო პირები, ოფიცრები და გენერლები ასრულებდნენ. 9. იაპონური ფაშიზმის იდეოლოგიას ახორციელებდა ფაშისტური ორგანიზაცია „იმპერიული ტახტის დახმარების ასოციაცია“ (1940-1945), რომელიც პრემიერ-მინისტრმა, პრინცმა კონოემ დააარსა მას შემდეგ, რაც იაპონია „ღერძის ქვეყნებს“ შეუერთდა. და ბოლოს, ფაშიზმის ისტორიული ანალიზი აჩვენებს, რომ იაპონური ფაშიზმის შესახებ დებატები კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

საკვანძო სიტყვები: იაპონია, ნეპონიზმი, შინტო, ფაშიზმი, ტანაკა.

***

შესავალი. წინამდებარე სტატიის მიზანია განიხილოს და შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოადგინოს XX საუკუნის ყველაზე გავრცელებული იდეოლოგია-ფაშიზმი და კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, იაპონურ ფაშიზმთან დაკავშირებული დისკურსი იამატოს რასის კონცეფციაზე და ტანაკას მემორანდუმთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობაზე. ფაშიზმში და ნაციზმში მნიშვნელოვანი ადგილი და როლი ჰქონდა რელიგიას. ნაცისტები წარმართები იყვნენ, თუმცა ნაციზმისთვის დამახასიათებელი იყო ეკუმენისტური ქრისტიანობა. იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, ავსტრიული, ლათინო-ამერიკული ფაშიზმი გამოკვეთილ კათოლიკურ ხასიათს ატარებდა. ბერძნული და რუმინული ფაშიზმი კი მებრძოლი მართლმადიდებლური ხასიათის იყო. იაპონელი ფაშისტები შინტოისტები იყვნენ. იაპონელი ფაშისტების მიზანი იყო სამხედრო დიქტატურის დამყარება და საგარეო პოლიტიკური ექსპანსია. იაპონური ფაშიზმის იდეოლოგია, რომლის ბაზისს წარმოადგენდა ნეპონიზმის კონცეფცია, ემყარებოდა იაპონიის და იამატოს რასის განსაკუთრებულ ღვთიურ მისიას. იაპონურმა იდეოლოგიამ ჩამოაყალიბა ე. წ. “პანაზიური დოქტრინა“, რომლის მთავარი სლოგანი იყო „აზია აზიელებისათვის“. დოქტრინა განსაკუთრებით პოპულარული იყო მაღალ სამხედრო წრეებში, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ იაპონიას უნდა დაეწყო „რასობრივი ომი ფერადკანიანთა ემანსიპაციისათვის“. ეს დოქტრინა პრესის მიერ პროპაგანდირებული იყო მთელ იაპონიაში და მას ასწავლიდნენ საბავშვო ბაღებში და სასკოლო გამოცემებში. დოქტრინა „ტანაკას მემორანდუმის“ სახელით (Tanaka Memorial (田中上奏文, Tanaka Jōsōbun) 1931 წლის სექტემბერში დაიბეჭდა ჟურნალ „Chaina Critiic”-ში და მას დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვა მოჰყვა. გენერალმა ტადამ კი გამოაქვეყნა პოლიტიკური თეზისები - „აზიური რასა უნდა გაერთიანდეს“ იაპონურმა მხარემ უარყო ტანაკას მემორანდუმის არსებობა, თუმცა მისი ექსპანსიური პოლიტიკა ძალიან ჰგავდა მემორანდუმის სტრატეგიას.

მეთოდოლოგია. უკანასკნელ პერიოდში იაპონურ და დასავლურ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გაიზარდა ინტერესი იაპონიაში ფაშიზმის პრობლემატიკისადმი. იყო თუ არა ფაშიზმი იაპონიაში? ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ისტორიკოსთა ორი ჯგუფი. ერთი მათგანი ამტკიცებს,

რომ იაპონია არ იყო ფაშისტური სახელმწიფო, მეორე ჯგუფი პირიქით, ამტკიცებს, რომ იყო. აქედან გამომდინარე, სტატიაზე მუშაობისას გამოვიყენეთ ისტორიზმის პრინციპი და შედარებითი-კრიტიკული ანალიზის მეთოდი, რათა დასკვნაში საკუთარი არგუმენტები წარმოგვედგინა ამ საკითხთან დაკავშირებით.

მსჯელობა. იაპონურ ფაშიზმზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ ფაშიზმის, როგორც იდეოლოგიის წარმოშობის საფუძვლები და მიზეზები. ფაშიზმის სამშობლო იტალიაა, მაგრამ ფაშისტური იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენს რასიზმის, შოვინიზმისა და აგრესიული გეოპოლიტიკის დოქტრინები, რომლებიც ჯერ კიდევ ფაშიზმის გაჩენამდე წარმოიშვა. ფაშიზმის საშინაო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი იყო: უმკაცრესი ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობოდა სამხედრო ძალადობას, მილიტარიზმს, მასობრივ ტერორს და რეპრესიების სისტემას, ბელადის კულტს, სოციალურ დემაგოგიას; საგარეო პოლიტიკა ექსპანსიური და აგრესიული იყო, რომელიც დაპყრობითი ომებით, საერთაშორისო სამართლის იგნორირებით და სხვა ხალხების გენოციდით გამოიხატებოდა. ფაშიზმის იდეებმა კონცენტრირებული, ნაცისტური სახით ასახვა ჰპოვეს ადოლფ ჰიტლერის წიგნში "Mein Kampf"' ("ჩემი ბრძოლა", 1925). პირველი ფაშისტური ორგანიზაცია 1925 წელს იტალიაში დაარსა ბენიტო მუსოლინიმ, რომელიც მალე მთელ მსოფლიოში გავრცელდა; 30-იანი წლების დამლევს ფაშისტური რეჟიმი დამყარდა იტალიაში, გერმანიაში (სადაც ის ნაციზმად ჩამოყალიბდა), პორტუგალიაში, ესპანეთში, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში, ბრაზილიაში, არგენტინაში და სხვა.

პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის სოციალისტურმა რევოლუციამ კომუნისტური პარტიების გააქტიურება გამოიწვია. კომუნიზმის აჩრდილი მძიმედ დააწვა მსოფლიო რუკას. 1920 წელს, როდესაც იტალია კომუნისტური გადატრიალების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მუსოლინიმ განაცხადა, რომ ფაშიზმი იყო ის ძალა, რომელსაც შეეძლო კომუნიზმის შეჩერება და დამარცხება. დუჩე იტალიელების კერპად იქცა, რადგან ქვეყანა ბოლშევიზმისგან იხსნა და გზა გაუხსნა მას რომის მემკვიდრეობისაკენ. ფაშიზმის იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი იყო ტოტალიტარიზმი, საკუთარი ენისა და კულტურის განდიდება, სახელმწიფო და ნაცია უპირველესი იყო, მორჩილება და თავგანწირვა მთავარ ღირსებად მიიჩნეოდა, ხოლო ომი ხალხის სიდიადის გამოხატულებად გამოცხადდა, შეიძლება ითქვას, რომ მუსოლინიმ იტალიელებს სიამაყისა და დანიშნულების შეგრძნება ჩაუნერგა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფაშიზმიც და ნაციზმიც პირველ მსოფლიო ომში შელახული ღირსების რეანიმაცია იყო. ამიტომაც სავსებით ბუნებრივად ჟღერდა მუსოლინის სიტყვები: „XX საუკუნე ფაშიზმის ერაა". ფაშიზმი კომუნიზმის საპირწონე უნდა ყოფილიყო. ამან განაპირობა ის, რომ ფაშისტური პარტიები მთელ მსოფლიოში იქმნებოდა. ფაშისტური დოქტრინები ვრცელდებოდა ბრაზილიასა და არგენტინაში. ესპანეთში ფრანკოს დიქტატურა დამყარდა, პორტუგალიაში სალაზარის და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ფაშიზმის სამი სახე არსებობდა: იტალიური ფაშიზმი, გერმანული ნაციზმი და ესპანური ფრანკიზმი. ამ სამს კლასიკურ ფაშიზმში აერთიანებენ, ყველა დანარჩენი კი არაკლასიკურად ითვლება (ტარასოვი. ფაშიზმი მრავალგვარია. https://saint-juste.narod.ru/fash-tip.htm). თუმცა განსხვავება დიდია და ესეც პირობითი დაყოფაა. მოკლედ შევეხები ფაშისტური რეჟიმის ქვეყნებს. დავიწყებ პორტუგალიით, სადაც სალაზარის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი დიქტატურა იყო.

ესტადო ნოვო (ასევე მოიხსენიება, როგორც პორტუგალიის მეორე რესპუბლიკა), რომლის ოფიციალური სახელი პორტუგალიის რესპუბლიკა იყო, სადაც დიქტატორული, ავტორიტარული, ავტოკრატიული და კორპორატიული პოლიტიკური რეჟიმი უწყვეტად, 41 წლის განმავლობაში მოქმედებდა (1933-1974). მთავარი იდეოლოგი პრემიერ/მინისტრი ანტონიო დე ოლივეირა სალაზარი იყო.

ესპანეთში 1939 წლიდან 1975 წლამდე დამყარდა ფრანსისკო ფრანკოს დიქტატურა, ფრანკიზმი. ფრანკო მხარს უჭერდა ფალანგიზმს 1940-იანი წლების შუა პერიოდამდე. რეჟიმის პირველი

ფაზა, რომელსაც „ფრანკოს პირველი რეჟიმი“ ეწოდება, შეიძლება დახასიათდეს, როგორც ფაშისტური ან კვაზიფაშისტური და ტოტალიტარული ან კვაზიტოტალიტარული, ხოლო შემდგომი სისტემა საკმაოდ ავტორიტარულ-კონსერვატიული იყო.

ავსტროფაშიზმი, მემარჯვენე ტოტალიტარული იდეოლოგია ავსტრიაში 1933-1934 წლებში კანცლერმა ენგელბერტ დოლფუსმა დაამყარა და 1938 წლის ანშლუსამდე გაგრძელდა. დამახასიათებელი იდეები იყო: ავსტრიული ნაციონალიზმი, კლერიკალური ფაშიზმი, პოლიტიკური და სოციალური კათოლიციზმი, ეროვნული კონსერვატიზმი, მემარჯვენე პოპულიზმი, კორპორატივიზმი, ქრისტიანული ნაციონალიზმი, დომინიონიზმი. ტერმინი „ავსტროფაშიზმი“ ჩვეულებრივ გამოიყენება ავსტრიისა და გერმანიის მემარცხენე ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსების მიერ. სახელმწიფოს ოფიციალურად ავსტრიის ფედერაციული სახელმწიფო ერქვა. დოლფუსის რეჟიმი ძირითადად იყენებდა მუსოლინის დროს იტალიის სახელმწიფოებრივი სტრუქტურის პრაქტიკას, აქედან მოდის რეჟიმის სახელი - ავსტროფაშიზმი (ეს ტერმინი შემოიღო სოციალ-დემოკრატების ლიდერმა ოტო ბაუერმა). 1934 წელს ავსტრიის ხელისუფლებაში მოვიდნენ იტალიური ფაშიზმის მიმდევრები, ჰაიმვეროვები, მაგრამ ნაცისტებმა პუტჩი მოაწყვეს და კანცლერი დოლფუსი მოკლეს. საბოლოოდ ყველაფერი ავსტრიის ანშლუსით დამთავრდა (Dreidemy, Lucile. 2014).

1920 წელს უნგრეთში კომუნისტური რეჟიმი დაემხო და სამეფოდ გამოცხადდა. ქვეყანას სათავეში ჩაუდგა რეგენტი, ადმირალი მიკლოშ ჰორტი. მეორე მსოფლიო ომის დროს ბუდაპეშტი ბერლინი-რომი-ტოკიოს ღერძს შეუერთდა, მაგრამ სტალინგრადთან დამარცხების შემდეგ ჰორტი მოკავშირეებისკენ გადაიხარა. 1944 წლის 15 ოქტომბრის პრონაცისტური გადატრიალების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდა სს-ის დანაყოფები ოტო სკორცენის მეთაურობით, ძალაუფლება გადავიდა დიქტატორ ფერენც სალაშის და მისი პარტიის, „გადაჯვარედინებული ისრების“ ხელში. სალაში უნგრეთის რეგენტად გამოცხადდა. პარლამენტმა მას ერის ბელადის ტიტული მიანიჭა. სალაში იდეალისტი იყო და ბრმად სწამდა, რომ კაცობრიობის მხსნელი მხოლოდ ნაციონალიზმ-სოციალიზმი იყო. მისი დიქტატურული რეჟიმი გამოირჩეოდა სასტიკი რეპრესიებით ბოშათა და ებრაელთა წინააღმდეგ. 1945 წლის მარტის ბრძოლებმა ბალატონის ტბის რაიონებში ბუდაპეშტს ნაციზმისგან განთავისუფლება და საბჭოთა ტირანია მოუტანა (ტარასოვი. ფაშიზმი მრავალგვარია (https://saint-juste.narod.ru/fash-tip.htm).

საფრანგეთში, ომამდელ პერიოდში და მეორე მსოფლიო ომში, ერთმანეთთან რამდენიმე განსხვავებული ფაშიზმი მეტოქეობდა: იტალიურის ფრანგული ვარიანტი „ფრანსიზმი“, ნაციზმის ფრანგული სახესხვაობა „საფრანგეთის სახალხო პარტია“, ფრანკიზმის ფრანგული ვერსია „კაგულიარები“, და ბოლოს, „ორიგინალური არისტოკრატიულ-ელიტარული, მონარქო-ფაშიზმი, „აქსიონ ფრანსეზი“, რომელიც 1899 წელს დაარსდა. საფრანგეთის სახალხო პარტია იყო ფაშისტური პარტია საფრანგეთში ომამდელ პერიოდში და მეორე მსოფლიო ომში. ის ატარებდა უკიდურეს ანტიკომუნისტურ პოლიტიკას. ომისა და ნაცისტური ოკუპაციის დროს მან კოლაბორაციონისტური პოზიცია დაიკავა და აქტიურად იბრძოდა წინააღმდეგობის მოძრაობის წინააღმდეგ.

ბრიტანეთში ოსვალდ მუსლი იყო ფაშისტების ბელადი. ბრიტანულ ფაშისტთა კავშირი იყო პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ოსვალდ მოსლიმ 1932 წელს დაარსა ბრიტანეთში დიდი დეპრესიის დროს. ეს კავშირი ბრიტანულ უდიდეს ფაშისტურ ორგანიზაციად გადაიქცა, რომლის საქმიანობამაც 1930-იან წლებში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. 1936 წელს პარტიას სახელი შეეცვალა და ეწოდა ბრიტანეთის ფაშისტთა და ნაციონალ-სოციალისტთა კავშირი, ხოლო 1937 წელს იგი ცნობილი გახდა უბრალოდ, როგორც ბრიტანეთის კავშირი და ამ სახელწოდებით არსებობდა 1940 წლამდე, სანამ არ აიკრძალა.

რუმინეთში იტალიური ფაშიზმის მომხრეებსა და ნაცისტებს შორის დაპირისპირება სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ანტონესკუს „მწვანე ქურთუკიანები“ და ჰორი სიმოის „რკინის გვარდიე-

ლები“ ერთმანეთს ებრძოდნენ. რუმინული ულტრანაციონალისტური პარტია, „რკინის გვარდია“, რომელიც ცნობილია როგორც „მიქაელ მთავარ ანგელოზის ლეგიონი“ და „ლეგიონერთა მოძრაობა“, 1927 წელს შექმნა კორნელიუ ზელია კოდრეანუმ. პარტია ორდენის ხასიათს ატარებდა, სასულიერო-რაინდული წესდებით ცხოვრობდა და რელიგიურ რიტუალებს ატარებდა. მათ სამოსის ფერიდან გამომდინარე, „მწვანე პერანგიანებსაც“ უწოდებდნენ.

ბერძნული ფაშიზმი დაკავშირებულია იოანეს მეტაქსასის სახელთან. საბერძნეთის პრემიერ მინისტრი (1936-1941), გენერალ-ლეიტენანტი იოანეს მეტაქსასი ფუძემდებელია ავტორიტარული, ნაციონალისტური „ოთხი აგვისტოს რეჟიმის“, რომელიც ცნობილია ასევე იოანეს მეტაქსასის დიქტატორული რეჟიმის სახელით (1936 წლიდან 1941 წლამდე); ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსი მას ტოტალიტარულ და ფაშისტურად ახასიათებს, ვინაიდან, მეტაქსასმა ზოგიერთი იდეა იტალიური ფაშიზმიდან ისესხა, მაგრამ მთლიანად ფაშისტური არასოდეს გამხდარა და უფრო პრობრიტანულ და პროფრანგულ საგარეო პოლიტიკას ატარებდა, ვიდრე ღერძის ქვეყნების. 1941 წლის იანვარში მეტაქსასის გარდაცვალების შემდეგ, რეჟიმი, რომელიც ხალხში არ იყო პოპულარული, ჩამოიშალა და მთლიანად მეფის ავტორიტეტზე გახდა დამოკიდებული.

რაც შეეხება ებრაულ ფაშიზმს, საბჭოთა ანტისიონისტური პროპაგანდა სიონიზმს რასიზმთან აიგივებდა და სიონიზმს თანამედროვე ფაშიზმად აცხადებდა („ფაშიზმი ლურჯი ვარსკვლავის ქვეშ“, „სიონიზმი თანამედროვე ფაშიზმია“). ეს იდეები, გამოიყენება არაბულ სამყაროში ისრაელის საწინააღმდეგო პროპაგანდის მიერ, მათ შორის ისლამისტების მიერ ასევე მემარცხენე-ლიბერალური იდეოლოგიებისა და ახალი ანტისემიტისტების მიერ. XX საუკუნის 80-იან წლებში ისრაელში რაბი მეიერ კაჰანეს მიერ დაარსებულ იქნა კახის პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც რადიკალური რელიგიურ-ნაციონალისტური ხასიათის იყო. მისი პროგრამა მოიცავდა ყველა არაბის იძულებით გადაყვანას ბიბლიური ერეც-ისრაელის ტერიტორიიდან და იმ დროს ისრაელის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების (იუდეა, სამარია, გოლანის მაღლობები და სინას ნახევარკუნძული) ანექსიას, ასევე ებრაული სამართლის (ჰალახა) ელემენტების ჩართვას ისრაელის კანონმდებლობაში. 1984 წლიდან 1988 წლამდე კახის მოძრაობა მე-11 ქნესეთში წარმოდგენილი იყო მისი დამფუძნებლის, რაბი მეირ კაჰანეს მიერ.

რუსული ფაშიზმი, როგორც ნაციონალიზმის სახეობა, ჩამოყალიბდა 1930-იან და 1940-იან წლებში. მისთვის დამახასიათებელი იყო იტალიური ფაშიზმისა და გერმანული ნაციონალ-სოციალიზმისადმი სიმპათიები, გამოხატული ანტიკომუნიზმითა და ანტისემიტიზმით. რუსული ფაშიზმის ფესვები ისტორიაში „შავი ასეულების“ და „თეთრი მოძრაობის“ სახელით ცნობილ მოძრაობებშია. ის გავრცელებული იყო გერმანიაში, მანჯუ-გუოსა და აშშ-ში მცხოვრებ თეთრკანიან ემიგრანტთა წრეებში. „თეთრი მოძრაობის“ ზოგიერთი იდეოლოგი, როგორიცაა ი. ა. ილინი და ვ. ვ. შულგინი, მიესალმნენ ბენიტო მუსოლინის და ადოლფ ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლას და თავიანთ თანამებრძოლებს ფაშისტურ „მეთოდს“ სთავაზობდნენ, როგორც სოციალიზმის, კომუნიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზას. ამავდროულად, ისინი არ უარყოფდნენ პოლიტიკურ რეპრესიებსა და ანტისემიტიზმს და ამართლებდნენ მას (ტარასოვი. https://saint-juste.narod.ru/fash-tip.htm).

ფაშიზმი გავრცელდა ამერიკის კონტინენტზეც. ბრაზილიური ინტეგრალიზმი იყო ფაშისტური იდეოლოგიის პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც დააარსა 1932 წლის ოქტომბერში, მწერალმა პლინიო სალგადომ. მოძრაობამ ისესხა იტალიური ფაშიზმის ძირითადი მახასიათებლები. თუმცა, ინტეგრალისტებს მათგან განსხვავებით მონარქისტული პოლიტიკური კურსი ჰქონდათ და რასიზმს უარყოფდნენ, რაც აისახა მათ სლოგანში „ერთიანობა ყველა რასისა და ხალხისთვის“. პარტიაში იღებდნენ სხვადასხვა რასის ადამიანებს, მათ შორის შავკანიანებს. საბოლოო ჯამში, ბრაზილიური ინტეგრალიზმის პოლიტიკური პროგრამა წარმოადგენდა მარქსიზმისა და ლიბერალიზმის უარ-

ყოფას. ევროპელი ფაშისტების მსგავსად, ინტეგრალისტები საშუალო კლასს ეყრდნობოდნენ. მათ ბევრი ოფიცერი გადაიბირეს, განსაკუთრებით საზღვაო ფლოტში. ებრაელებისადმი დამოკიდებულება პარტიის ლიდერებს შორის დებატების საგანი იყო: სალგადო ანტისემიტიზმის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ინტეგრალისტური მილიციის (პარამილიტარული ძალა) ხელმძღვანელი გუსტავო ბაროზო ცნობილი იყო ანტისემიტური განწყობით.

არგენტინის ფაშისტური პარტია (PFA) 1932 წელს დაარსეს იტალო-არგენტინელებმა. PFA ეფუძნებოდა იტალიური ფაშიზმის იდეოლოგიურ და დოქტრინულ საფუძვლებს. 1930-იან წლებში პარტია მასობრივ ორგანიზაციად იქცა, განსაკუთრებით ქალაქ კორდობაში. თავიდან არგენტინის ფაშისტური პარტიის კორდობას ფრაქციას ნიკოლას ვიტელი ხელმძღვანელობდა. 1934 წლიდან კი ნიმიო დე ანკინი, რომელმაც ნაციონალისტური კურსი აიღო. კორდობაში ANF-ის მთავარი პოლიტიკური მოკავშირეები იყვნენ არგენტინის სამოქალაქო ლეგიონი და არგენტინის ნაციონალისტური მოძრაობა/ახალი არგენტინის დადასტურება. პარტიამ არსებობა 1936 წელს შეწყვიტა და მის ნაცვლად ეროვნულ-ფაშისტური კავშირი (UNF) შეიქმნა (ტარასოვი. https://saint-juste.narod.ru/fash-tip.htm).

აღსანიშნავია, რომ არაკლასიკურ ფაშიზმად მოიხსენიება ტეტჩერიზმი, რეიგანომიკი და პინოჩეტის რეჟიმი. გამონაკლისი არც იაპონია იყო, რაც ჩემი კვლევის საგანს წარმოადენს.

უკანასკნელ პერიოდში იაპონურ და დასავლურ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გაიზარდა ინტერესი იაპონიაში ფაშიზმის პრობლემატიკისადმი. იყო თუ არა ფაშიზმი იაპონიაში? ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ისტორიკოსთა ორი ჯგუფი. ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ იაპონია არ იყო ფაშისტური სახელმწიფო. ამ ჯგუფში შედიან იაპონელები: ტაკაში, ტაკეხირო, ტაკახი და ინგლისურენოვანი მკვლევარები: ბერგერი, გარონი, კაზა, ბრაუნი, დუსი, სპილმანი, ოკიმოტო. მათი მთავარი არგუმენტებია:

1. იაპონიაში არ ყოფილა მასობრივი ფაშისტური მოძრაობა;
2. იაპონიას არ ჰყოლია ფაშიზმისათვის დამახასიათებელი ქარიზმატული ლიდერი;
3. იაპონიაში არ მომხდარა ფაშისტების მიერ ხელისუფლების უზურპირება;
4. იაპონიაში ამ დროისათვის მომხდარი ტერორისტული აქტები სახელმწიფოს მიერ იყო ინსპირირებული და დაფინანსებული;
5. იაპონიაში არ არსებობდა კორპორატიული სისტემა;
6. იაპონია უნიკალური ქვეყანაა და მასზე არ მოქმედებს ტრადიციული ისტორიული კატეგორიები, რომლებიც გამოყენებულია ისტორიული პროცესების ასახსნელად სხვა ქვეყნებში.

ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი კი ამტკიცებს, რომ იაპონია ფაშისტური იყო. ამ ჯგუფში შედიან არა მარტო მარქსისტები, არამედ სხვა იაპონელი მკვლევარებიც: კინზო, ჰიროზუმი, მასაო, კიიოტადა, ტეტცუო, იოშიაკი. ინგლისურენოვანი მკვლევარები: ბიქსი, გორდონი, რეინოლდსი, ტანსმანი. ისინი საუბრობენ "საიმპერატორო ფაშიზმზე", „კომპოზიტურ ფაშისტურ სახელმწიფოზე", გერმანიისა და იაპონიის ანალოგიებზე (ძალის კულტი, ყველაფრის ნებადართულობა, ნაციონალური განსაკუთრებულობა, დიქტატურა, „იამატოს რასის" ექსპანსიური პოლიტიკა...). ცნობილი იაპონელი მეცნიერის მარუიამა მასაოს აზრით, იტალიასა და გერმანიაში ფაშიზმი ქვემოდან განხორციელდა, იაპონიაში კი ზემოდან. რეინოლდსის თანახმად, „იდეოლოგია, რომელიც აგებულია იმპერატორის ხელისუფლებაზე, წარმოადგენს ფაშიზმის ერთ-ერთ ფორმას, იაპონურ სტილში". აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ბევრმა მკვლევარმა იაპონიის მოდერნიზაცია დაუკავშირა „ფაშიზმის კულტურას", „ფაშისტურ ესთეტიკას", „კრიზისთან ფაშისტური მეთოდებით ბრძოლას" და ა. შ. (Szpilman: 2011). მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, იაპონურ ფაშიზმზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთი ორგანიზაციების არსებობას, როგორიც იყო:

1. „ტახტის დახმარების ასოციაცია“ (ტაისეი იოკუსანკაი, იაპონური: 大政翼賛会), 1940 წლიდან 1945 წლამდე არსებობდა. ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ პრემიერ-მინისტრები ერთმანეთის მიყოლებით.

2. ტოსეი-ჰა. „ტოსეი-ჰას“ („საკონტროლო ფრაქცია“) ჯგუფი, რომელსაც ჰიდეკი ტოჯო ხელმძღვანელობდა, აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის ფაშისტურიზაციაში. მასში შედიოდნენ გენერლები და არმიის ოფიცრები, რომლებიც იაპონიაში ფაშიზმის დამყარებას და სხვა ქვეყნების მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებას უჭერდნენ მხარს. არმიის ჯგუფის წევრები ძირითადად პოლიტიკოსები და გენერლები იყვნენ. ტოსეი-ჰა ცდილობდა არმიაში პოლიტიკურად კონსერვატიული (ზომიერი) ელემენტების შემოყვანას, რადიკალური და ულტრანაციონალისტური კოდო-ჰასგან განსხვავებით. 1940 წელს ჯგუფმა ამას მიაღწია ხელისუფლების შეცვლისა და „კონსერვატიულად“ მუშაობის გარეშე. ფაშიზმი ეროვნულ იდეად იქცა მონარქიზმის წილის დაკარგვის გარეშე.

3. კოდოჰა. „იმპერიული გზის ფრაქცია“. (皇道派 Kōdōha) რადიკალური და ულტრანაციონალისტური დაჯგუფება, ომის პარტია. მასში შედიოდნენ იაპონიის არმიის უმცროს ოფიცერთა კორპუსის წევრები. ორგანიზაციის მიზანი იყო სამხედრო ხელისუფლების დამყარება და ტოტალიტარული, მილიტარისტული და ექსპანსიონისტური იდეალების პოპულარიზაცია. ფრაქციის დამფუძნებლები იყვნენ სადაო არაკი და ჯინზაბურო მასაკი.

იაპონიის პრემიერ-მინისტრი, არმიის გენერალი ჰიდეკი ტოჯო (1941-1944) აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა წყნარ ოკეანესა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომის შესახებ იაპონიის დისკუსიებში. მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხების შემდეგ, 1946 წელს შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო ტრიბუნალის ტოკიოს სასამართლო პროცესზე იგი ომის დამნაშავედ ცნეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ტოკიოს იასუკუნის სალოცავში მას შინტოისტურ ღვთაებად სცემენ თაყვანს; ტოჯომ სამურაების კოდექსიდან გამომდინარე, საკუთარ თავზე აიღო იმპერატორის პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე ომის პერიოდში.

რაც შეეხება ჰიროჰიტოს, ის იყო იაპონიის 124-ე იმპერატორი (1926-1989). თავისი მმართველობის პერიოდს მან მიანიჭა დევიზი „შოვა“ („განათლებული მსოფლიოს ეპოქა“). ის იყო იაპონიის შეიარაღებული ძალების გენერალისიმუსი. მას ასევე მინიჭებული ჰქონდა ბრიტანეთის საპატიო გენერლის წოდება (1921), შემდეგ კი საპატიო ფელდმარშალის წოდება (1930 წლის 26 ივნისი; წოდება ჩამოერთვა 1942 წელს). 1979 წელს, ცენტრალური აფრიკის იმპერიაში მონარქიის დამხობის შემდეგ, ის გახდა მსოფლიოში ერთადერთი მონარქი, რომელსაც ჰქონდა „იმპერატორის“ ტიტული. ჰიროჰიტოს მეფობა იაპონიის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი იყო, 62 წელი გაგრძელდა. მისმა მეფობამ იაპონური საზოგადოების ფუნდამენტური ტრანსფორმაცია გამოიწვია. მისი ხელმძღვანელობით იაპონიამ XX საუკუნის პირველ ნახევარში სამხედრო ძალა განავითარა, მეორე მსოფლიო ომში ჩაერთო და ჩინეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რამდენიმე სხვა ქვეყანა დაიპყრო. მეორე მსოფლიო ომში დამარცხებისა და იაპონიის ამერიკული ოკუპაციის შემდეგ, იმპერატორმა უარი თქვა ღვთაებრიობაზე და ძალაუფლება დაკარგა.

საბოლოო ჯამში, იაპონური ფაშიზმის სპეციფიკური მახასიათებლები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. იაპონური ფაშიზმის დროშა იყო არა პარტია, არამედ იმპერატორი;
2. იამატოს უმაღლესი რასის დომინანტობა აზიაში;
3. ნაციონალური რელიგიის - შინტოსა და სამურაების კოდექსის „ბუშიდოს“ იდეის სინთეზი.
4. ფაშისტური ორგანიზაციები იაპონიაში;
5. ე. წ. “პანაზიური დოქტრინა“, ტანაკას 7 ეტაპიანი გეგმა.

განვიხილოთ ცალცალკე.

იაპონიის ისტორიიდან ცნობილია, რომ ის შეიქმნა იამატოს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის საფუძველზე, რომელიც წარმოიშვა იამატოს რეგიონში (თანამედროვე ნარას პრეფექტურა) III-IV საუკუნეებში. დაახლოებით VI საუკუნეში იამატოს კლანმა იაპონიის პირველი და ერთადერთი დინასტია მეიჯი დააარსა. 670-იან წლებში იამატოს სახელი შეეცვალა და ნიპონ „იაპონია“ ეწოდა. იაპონური ლეგენდის თანახმად, იამატოს სახელმწიფოს შემქმნელი იყო მზის ქალღმერთი ამატერასუ. ის გახდა იაპონიის საიმპერატორო ოჯახის წინაპარი, პირველი იმპერატორი ჯიმუ კი მისი შვილთაშვილი იყო. აქედან გამომდინარე, „იამატოს რასა“ (大和民族) ღმერთების შთამომავლებად, სუფთა სისხლის იაპონელებად ითვლებოდა და იაპონელთა რასობრივ სიამაყის გრძნობას განსაზღვრავდა, როგორც ღვთის რჩეული ხალხისა მსოფლიოში, მზის შვილებისა“. იაპონური დროშის სიმბოლოც ხომ მზით არის წარმოდგენილი. თანამედროვე იაპონიაში ტერმინი *„იამატო მინძოკუ“* შეიძლება მოძველებულად ჩაითვალოს, რადგან ის აღნიშნავს რასობრივ ცნებებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ ბევრ წრეში უარყოფილ იქნა. ხშირად გამოიყენება „იაპონელი ხალხი“ ან თუნდაც „იაპონელ-იაპონელი“, თუმცა ამ ტერმინებსაც აქვთ სირთულეები ეთნიკური და ეროვნების ცნებების ორაზროვანი შერწყმის გამო. დღევანდელ იაპონიაში სტატისტიკა მოსახლეობას მხოლოდ ეროვნების მიხედვით ითვლის და არა ეთნიკური კუთვნილებით, ამიტომ ეთნიკური იამატოს რაოდენობა და მათი რეალური მოსახლეობის რაოდენობა ბუნდოვანია (История Японии, 1998: 15).

იამატოს რასის ღვთაებრიობა, იაპონური ნაციონალური რელიგიის - შინტოსა და სამურაების კოდექსის „ბუშიდოს“ იდეის სინთეზი წარმოადგენს იაპონური ფაშიზმის იდეოლოგიის კონცეფციას. შინტოიზმი, რომელიც წინაპართა სულების თაყვანისცემაზეა ორიენტირებული, უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიურ პრაქტიკას და არა დოქტრინას. მეიჯის რესტავრაციის შემდეგ შინტოიზმი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ოფიციალური იდეოლოგიის ნაწილი იყო, რომლის დახმარებითაც მთავრობა ცდილობდა ხალხის ერთიანი რწმენით გაერთიანებას და იაპონური კულტურის უნიკალურობისა და უპირატესობის გამოცხადებას. შინტოიზმმა გავლენა მოახდინა როგორც კლასიკურ იაპონურ თეატრზე, ასევე თანამედროვე პოპულარულ კულტურაზე. აღსანიშნავია, 1869 წელს იმპერატორმა მეიჯიმ დაარსა იასუკუნის სალოცავი, რომელიც იაპონიის 10 ყველაზე მნიშვნელოვანი შინტოს სალოცავების სიაშია. სალოცავი ოფიციალურად ეძღვნება მილიონობით კაცის, ქალის, ბავშვის და ოჯახის შინაური ცხოველების კამის, რომლებიც მას შემდეგ დაიღუპნენ იაპონიის იმპერატორებისთვის. რაც შეეხება ბუშიდოს (იაპონურად: „მეომრის გზა“), ის სამურაების ეთიკის კოდექსია, რომელიც XII-XIII საუკუნეებში წარმოიშვა და საბოლოოდ XVI-XVII საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ეს იყო სამურაების კლასის, როგორც კეთილშობილი მეომრების წესების, რეკომენდაციებისა და ქცევის ნორმების ერთობლიობა, სამურაების ეთიკის კოდექსი. მაგალითისთვის: ბუშიდოს მოთხოვნებია: ბატონისადმი უპირობო ერთგულება; სამხედრო საქმე სამურაის ღირსეული და ერთადერთი პროფესიაა; თვითმკვლელობა იმ შემთხვევებში, როდესაც სამურაის პატივი შელახულია; ტყუილის და ფულზე მიჯაჭვულობის აკრძალვა. იცხოვროს მაშინ, როცა ცხოვრება სწორია და მოკვდეს მაშინ, როცა სიკვდილი სწორია. აუცილებელია ზომიერება საკვებში და გარყვნილების თავიდან აცილება; სამურაი არა მხოლოდ სამაგალითო შვილი უნდა იყოს, არამედ ერთგული ქვეშევრდომიც; ომში სამურაის ერთგულება გამოიხატება სიცოცხლის შეწირვით, თუ მოვალეობა მოითხოვს ამას; ერთგულება, სამართლიანობა და გამბედაობა სამურაის სამი ბუნებრივი სათნოებაა. იაპონელი ფაშისტები შინტოისტები იყვნენ. იაპონელი ფაშისტების მიზანი იყო სამხედრო დიქტატურის დამყარება და საგარეო პოლიტიკური ექსპანსია. განსაკუთრებით აღსანიშნავია იაპონური ფაშიზმის იდეოლოგია, რომლის ბაზისს შეადგენდა ნეპონიზმის კონცეფცია, რაც ემყარებოდა იაპონიის განსაკუთრებულ ღვთიურ მისიას სოციალური ჰარმონიის დადგენაში „ერთიანი ოჯახი-

სახელმწიფო“, რომელსაც იმპერატორი მართავდა და იამატოს უმაღლესი რასის ლიდერობას აზიაში. მოკლედ რომ ვთქვათ, იაპონური ფაშიზმის იდეოლოგიაში შერწყმული.

იაპონურმა იდეოლოგიამ ჩამოაყალიბა ე. წ. “პანაზიური დოქტრინა“, რომლის მთავარი სლოგანი იყო „აზია აზიელებისათვის“. დოქტრინა განსაკუთრებით პოპულარული იყო მაღალ სამხედრო წრეებში, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ იაპონიას უნდა დაეწყო „რასობრივი ომი ფერადკანიანთა ემანსიპაციისათვის“. ეს დოქტრინა პრესის მიერ პროპაგანდირებული იყო მთელ იაპონიაში და მას ასწავლიდნენ საბავშვო ბაღებში და სასკოლო გამოცემებში. უახლეს ისტორიაში ცოტაა ისეთი დოკუმენტი, რომელმაც გამოიწვია ისეთი დავა, როგორიცაა ე. წ. „ტანაკას მემორანდუმი“, რომელიც ამ პერიოდში გავრცელდა. „დოკუმენტი“ შესაძლოა, არასწორი სახელწოდებაა, რადგან ორიგინალი (თუ ვივარაუდებთ, რომ ასეთი არსებობდა) არასდროს უნახავს ვინმეს, ვინც მის არსებობას აღიარებდა. ამბობენ, რომ მემორიალი წარმოადგენს 13,000 სიტყვიან საიდუმლო პეტიციას, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ბარონმა ტანაკა გიიტიმ წარუდგინა იმპერატორ ჰიროჰიტოს 1927 წლის 25 ივლისს. რომელშიც აღწერილი იყო მანჯურიაში, ჩინეთსა და მონღოლეთში ეკონომიკური შეღწევის პროგრამა, რომელიც იაპონიის მიერ აზიისა და ევროპის დამორჩილებას მოამზადებდა. 1929 წელს ჩინელების მიერ გამოვლენის შემდეგ, დოკუმენტმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა 1930-იან წლებში. იაპონელების მკაცრი წინააღმდეგობებისა და პასუხისმგებლობის უარყოფის მიუხედავად, ის ითარგმნა და გავრცელდა ევროპასა და შეერთებულ შტატებში. თუმცა იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ, როდესაც მოკავშირეები ომის დანაშაულის ბრალდებების დასადასტურებლად ინკრიმინირებული დოკუმენტების მოძიებას ცდილობდნენ, მათ შორის ტანაკას მემორანდუმის, ვერ იპოვეს ვერცერთი შესაბამისი პროექტი ან ასლი; იაპონურენოვანი „ორიგინალი“ ფართომასშტაბიანი კვლევის მიუხედავად, როგორც ჩანს, არასდროს შექმნილა (Hoyt, 2001: 62). როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 1927 წლის იაპონური სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც „ტანაკას, მემორანდუმის“ სახელითაა ცნობილი, მიეწერება იაპონიის 26-ე პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრსა და კოლონიების მინისტრს გენერალ ტანაკა გიიტის (1864-1929), სადაც ის იაპონიის საგარეო პოლიტიკის საფუძვლად აშკარად აცხადებდა ჩინეთის, სსრკ და სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ ექსპანსიას მსოფლიო ბატონობის მოპოვების მიზნით. მან, სავარაუდოდ, იმპერატორ ჰიროჰიტოს წარუდგინა მსოფლიოს დაპყრობის სტრატეგია, რომელიც პუნქტობრივად ასე გამოიყურებოდა: 1. მსოფლიოს დასაპყრობად, თქვენ უნდა დაიპყროთ აზია; 2. აზიის დასაპყრობად, თქვენ უნდა დაიპყროთ ჩინეთი; 3. ჩინეთის დასაპყრობად, თქვენ უნდა დაიპყროთ მანჯურია და მონღოლეთი; 4. თუ ჩვენ მოვახერხებთ ჩინეთის დაპყრობას, აზიის დანარჩენი ქვეყნები და სამხრეთ ზღვის ქვეყნები შეშინდებიან ჩვენით და დაგვნებდებიან. მაშინ მსოფლიო მიხვდება, რომ აღმოსავლეთ აზია ჩვენია.

ტანაკას მემორანდუმი პირველად გამოქვეყნდა ჩინური გამოცემის „時事月報“ („ყოველთვიური მიმდინარე მოვლენები“) 1929 წლის დეკემბრის ნომერში ნანჯინგში, ნაციონალისტურ ჩინურ გამოცემაში. 1931 წლის 24 სექტემბერს კი გამოქვეყნდა შანხაიში გამომავალ ინგლისურენოვან გამოცემაში „China Critic“. მემორანდუმის წარმოშობა კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა. რადგან მისი პირველი გამოცემა ჩინურ ენაზე იყო დაწერილი, ზოგიერთი იაპონელი ისტორიკოსი მას ჩინურ წყაროებს მიაწერს, სავარაუდოდ, ჩინელ ნაციონალისტებს ან ჩინელ კომუნისტებს (Schecter, 2001: 8). ზოგიერთი ავტორის თანახმად, დოკუმენტი საბჭოთა კავშირმა გააყალბა ჩინეთსა და იაპონიას შორის ომის გამოწვევის მცდელობისას, რომელსაც საბჭოთა კავშირი თავისი ინტერესების სამსახურში გამოიყენებდა (Stephan, 1927: 740).

ეს ორი თეორია ურთიერთგამომრიცხავი არ არის, რადგან ჩინეთის კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის კონტროლის ქვეშ მყოფი კომინტერნის წევრი იყო და 1930-იანი წლებიდან საბჭოთა პოლიტიკა იაპონური ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ პროპაგანდისტული ომის წარმოებას ისახავდა

მიზნად. ასევე, მემორიალის პირველი ინგლისურ ენაზე თარგმანი აშშ-ს კომუნისტურმა პარტიამ განახორციელა და გამოქვეყნდა ჟურნალ „კომუნისტური ინტერნაციონალის“ 1931 წლის დეკემბრის ნომერში. მოგვიანებით ის წიგნის ფორმატში ხელახლა დაიბეჭდა (Stephan, 1927: 740). 1939 წელს პიტერ ფლემინგმა განაცხადა, რომ მან ტანაკას მემორიალის „განახლება“ შექმნა, მოკავშირეთა საიდუმლო სტრატეგიული კონფერენციის შესახებ წარმოსახვითი ანგარიშის დაწერით, რომელსაც გუომინდანის ლიდერი ჩან კაი-ში ესწრებოდა და იაპონელებისთვის ინფორმაციის გაჟონვით. ეს მოვლენა ადასტურებს, რომ ბრიტანელებმა მეორე მსოფლიო ომამდე იცოდნენ, რომ ტანაკას მემორიალი ყალბი იყო (Stephan,1927: 740). მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში გამოცემულ გაზეთებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში ტანაკას მემორიალი ხშირად ისე განიხილება, თითქოს ის ნამდვილი დოკუმენტია, დასავლელი ისტორიკოსების უმეტესობა კონსენსუსს აღწევს, რომ დოკუმენტი ყალბია. ამ დოკუმენტის ინგლისური თარგმანი 1934 წლის თებერვლამდე იყო მიმოქცევაში და საფუძვლად დაედო ჰერბერტ ვ. არმსტრონგის მიერ იმავე წლის თებერვალში გამოცემული ჟურნალ „The Plain Truth“-ის პირველი ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ მთავარ სტატიას, თუმცა ის პირველად ნაკლებად გავრცელებულ ჟურნალ „კომუნისტურ ინტერნაციონალში“ 1931 წელს გამოჩნდა.

„ტანაკას მემორანდუმი“ შეერთებული შტატების საომარი პროპაგანდის მიერ ფართოდ იყო წარმოდგენილი, როგორც ჰიტლერის „ჩემი ბრძოლის“ ერთგვარი იაპონური ანალოგი. ფრენკ კაპრას ოსკარის მფლობელი ფილმების სერიაში „ჩინეთის ბრძოლა“ და „ომის პრელუდია“, „რატომ ვომობთ“, ტანაკას მემორანდუმი აღწერილია, როგორც დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენდა იაპონიის სტრატეგიულ გეგმას შეერთებულ შტატებთან ომისთვის. „ტანაკას მემორანდუმი“ ასევე იყო წარმოდგენილი ფილმში „იცოდე შენი მტერი: იაპონია“, რომელიც ასევე კაპრამ ომის დროს გადაიღო. როგორც ამ ფილმებშია წარმოდგენილი, იაპონიის ექსპანსიური პოლიტიკის მიზნის მისაღწევად ხუთი თანმიმდევრული ნაბიჯი იყო საჭირო:

1. მანჯურიის დაპყრობა;
2. ჩინეთის დაპყრობა;
3. საბჭოთა კავშირის ან ციმბირის დაპყრობა;
4. ბაზების დაარსება წყნარ ოკეანეში;
5. შეერთებული შტატების დაპყრობა.

მართალია, მემორანდუმის ავთენტურობას დღეს მეცნიერები არ აღიარებენ, მაგრამ როგორც ავთენტური 1930-40-იან წლებში, ტანაკას მემორიალი ფართოდ იქნა აღიარებული, რადგან იაპონიის ექსპანსიური პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და წყნარი ოკეანის რეგიონში, როგორც ჩანს, ამ გეგმებს სრულიად შეესაბამებოდა; ავთენტურობა, როგორც ჩანს, დადასტურდა 1931 წლის მუკდენის ინციდენტით, 1937 წლის მეორე ჩინეთ-იაპონიის ომით, 1939 წლის ხალხინ გოლის ბრძოლებით, 1940 წელს იაპონიის მიერ ფრანგული ინდოჩინეთში შეჭრით, 1941 წელს პერლ-ჰარბორზე თავდასხმით და შემდგომში წყნარი ოკეანის ომით (Beasley, 2002: 185). ისტორიკოსი ბარაკ კუშნერი აცხადებს: ტანაკას მემორიალში რამდენიმე კრიტიკული ისტორიული შეცდომა იყო, რაც აშკარად ადასტურებს მის სიყალბეს, მაგრამ ის ფაქტი, რომ შეტყობინება ემთხვეოდა იაპონიის ზოგად მიზნებს, სამხედრო გზით დაემორჩილებინათ ჩინეთი, ემთხვეოდა სხვაგან არსებულ რწმენას, რომ მემორიალი ნამდვილი იყო (Kushner, 2015: 173).

საინტერესოა რას ფიქრობდა მოსკოვი. მემორანდუმის სტრატეგიაში ხომ საბჭოთა კავშირის დაპყრობაც შედიოდა. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს 1940 წელს გამოქვეყნებული ლევ ტროცკის ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, სავარაუდოდ, დოკუმენტის გამოაშკარავება: „ძნელი გასაგებია, თუ რატომ დუმს მოსკოვი, რომელიც ამ საკითხში ყველაზე კარგად არის ინფორმირებული, ტანაკას მემორიალის შესახებ. ორიგინალი ფოტოასლი მოსკოვში

მიიღეს ისეთ გარემოებებში, რომლებიც გამორიცხავდა რაიმე ეჭვს მის ავთენტურობასთან დაკავშირებით. ეს შესანიშნავი დოკუმენტი საზღვარგარეთ, კერძოდ, შეერთებულ შტატებში გაიგზავნა მოსკოვიდან, კრემლიდან. დოკუმენტის ავთენტურობა უცნაურად საეჭვოა დღესაც კი. მოსკოვი დუმს. ვეკითხები ჩემს თავს: რატომ არ მოვყევი ეს ეპიზოდი ადრე, ეპიზოდი, რომელიც ნათელს ჰფენს თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტს? ეს უბრალოდ იმიტომ მოხდა, რომ ამის არანაირი შემთხვევა არ არსებობდა. 1925 წელს პოლიტბიუროს სხდომას შორის, როდესაც პირველად წამოიჭრა ტანაკას დოკუმენტის საკითხი, და იმ პერიოდს შორის, როდესაც საზღვარგარეთ ემიგრაციაში აღმოვჩნდი და საერთაშორისო ურთიერთობების უფრო ზუსტად თვალყურის დევნების შესაძლებლობა მომეცა - ამ ინტერვალში იყო სასტიკი შიდა ბრძოლის, დაპატიმრების, ცენტრალურ აზიაში გადასახლების და შემდეგ თურქეთში გადასახლების წლები. ტანაკას დოკუმენტი ჩემი მეხსიერების სიღრმეში მიძინებულად დარჩა... ბოლო წლებში შორეულ აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები იმდენად ადასტურებს ტანაკას პროგრამას, რომ გამორიცხავს ნებისმიერ ეჭვს ამ დოკუმენტის ნამდვილობასთან დაკავშირებით“ (leonTrotsky, (2008).

1940 წელს ჟურნალისტმა და პოპულარულმა ისტორიკოსმა ედვინ პ. ჰოიტმა დაწერა, რომ ტანაკას მემორიალი ზუსტად ასახავს „იმას, რაც პრემიერ-მინისტრმა ტანაკამ თქვა და რასაც სუპერნაციონალისტები თვეების განმავლობაში ამბობდნენ“. ირის ჩანგი დასძენს, რომ იმ დროს იაპონიის მთავრობა იმდენად დაჯგუფებული იყო, რომ ასეთი გეგმის განხორციელება ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. ისტორიკოსმა მეირიონ ჰარისმა დაწერა, რომ ტანაკას მემორიალი „მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული „ბინძური ხრიკი“ იყო - ყალბი დოკუმენტი, რომელიც იმდენად ბრწყინვალედ იყო შექმნილი, რომ ოცდაათი წლის შემდეგაც კი დასავლელები მისით იყვნენ მოხიბლულნი“ (Hoyt, 2001: 62). იაპონიის ეროვნული თავდაცვის აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების დიპლომატიისა და ომის ისტორიის პროფესორი, დოქტორი ჰარუო ტოჰმაცუ, აცხადებს, რომ „ტანაკას მემორიალი“ არასდროს არსებობდა, მაგრამ იმ წლის დალიანის კონფერენციამ მიიღო რეზოლუციები, რომლებიც ასახავდა ამ იდეებს “ავთენტურობაში“ (Tohmatsu, 2004: 18). ანალოგიურად, ისტორიკოსი უილიამ გ. ბისლი აცხადებს, რომ „ამ დოკუმენტის ბუნება, რომელიც სხვადასხვა, ინგლისურ და ჩინურ ენებზეა გამოქვეყნებული, არ იძლევა დამაჯერებლობის საფუძველს მის ავთენტურობაში“ (Beasley, 2002: 185). ჰოლტის და შეკტერის აზრით 1927 წლის ზაფხულში (27 ივნისი - 7 ივლისი), ტანაკამ მოიწვია „შორეული აღმოსავლეთის კონფერენცია“ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, არმიის სამინისტროს, საზღვაო ძალების სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს წევრებთან. თუმცა, მსოფლიო ბატონობის გენერალური გეგმის შემუშავების ნაცვლად, კონფერენცია დასრულდა უხეში კონსენსუსით, რომ იაპონიას უნდა დაეჭირა მხარი ჩინეთის კუომინტანის მთავრობისთვისს ჩინელი კომუნისტების წინააღმდეგ ომში. იაპონელებს უნდა დაერწმუნებინათ გენერალი ჟანგ ძუოლინი, რომ თავისი ბაზა გაეერთიანებინა პრაქტიკულად ავტონომიური მანჯურიისთვის, რომელიც ბუფერული სახელმწიფოს როლს შეასრულებდა და საბოლოოდ იაპონიის ბატონობის ქვეშ მოექცებოდა. სავარაუდოდ, ტანაკას მემორიალი ორივე მკვლევარის აზრით, ამ კონფერენციის საიდუმლო ანგარიშია (Holt, 2001: 298).

ამგვარად, დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ იაპონია ფაშისტური სახელმწიფო იყო. მეორე მსოფლიო ომში „ღერძის“ ქვეყნების ტრიუმვირატში შედიოდა და ნაცისტური გერმანიის და ფაშიტური იტალიის მსგავსად კონკორდატი ჰქონდა დადებული ვატიკანთან. გარდა ამისა, სავსებით ვიზიარებ იმ მკვლევარების მოსაზრებას, რომლებიც იაპონიას ფაშისტურად ჯერ კიდევ 1930 წლიდან მიიჩნევენ. არგუმენტირებულად ეს შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. იმპერატორ ჰიროჰიტოს, „აზიელი ჰიტლერი“ უწოდეს და ის არ გაასამართლეს მხოლოდ იმიტომ რომ ტოჯომ და სხვა გენერლებმა საკუთარ თავზე აიღეს მთელი პასუხისმგებლობა დანაშაულისა. ეს იყო სამურაების ეთიკის გამოვლინება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მილიტარისტული იაპონიის მთელი პატრიოტული კულტი აგებულია იმპერატორის თაყვანისცემაზე და მის სამსახურზე არა როგორც ადამიანზე, არამედ როგორც „მზის შვილზე“ და შინტოიზმის უმაღლეს იერარქზე. იაპონური ძალაუფლების მოდელშიც იმპერატორი მნიშვნელოვანია არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც ფუნქცია.

2. კორპორატიული სისტემა. იაპონიაში კორპორაციული ასოციაცია „საიბაცუ“ ჯერ კიდევ შოუას ეპოქამდე გაჩნდა და ზოგიერთი მათგანი: მიცუბიში, მიცუი, სუმიტომო ისეთივე წარმატებით თანამშრომლობდა მილიტარისტულ ხელისუფლებასთან, როგორც სიმენსი, ტიისენი და კრუპი გერმანიაში.

3. იაპონიას იგივე მიზნები ჰქონდა, რაც ღერძის ქვეყნებს: მსოფლიოს გადანაწილება, ბრძოლა კომუნიზმთან.

4. იაპონიამ გამოიყენა გენოციდის მეთოდები ჯერ კიდევ 1937 წელს, როცა ნანჯინგში დაახლოებით 500 ათასი ადამიანი დახოცა და სამხედრო დანაშაულებების ისტორიაში შევიდა.

5. იაპონურ ფაშიზმში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შინტომ, რომელმაც დოგმატური ხასიათი მისცა იაპონელთა განსაკუთრებულობის კონცეფციას.

6. იაპონურ დროშას კიოკუძიცუს დღემდე ჩინეთსა და კორეაში აღიქვამენ, როგორც სვასტიკას.

7. ფაშისტური პარტიის როლს იაპონიაში შეიარაღებული ძალები ასრულებდა.

8. იაპონური ფაშიზმის იდეოლოგიის განმახორციელებელი იყო ფაშისტური ორგანიზაცია „ტახტის დახმარების ასოციაცია“ (1940-1945), რომელიც პრემიერ მინისტრმა, პრინცმა კონოემ დაარსა მალევე, როგორც კი იაპონია „ღერძს“ შეუერთდა. ფაშისტური გავლენის პიკი იყო კონოეს მმართველობა 1937-1939 და 1940-1941 წლებში.

დაბოლოს, თანამედროვე გლობალიზაციის პროცესებში, როდესაც მეოცე საუკუნეში დასამარებულმა იდეოლოგიებმა რეანიმაცია განიცადეს და კვლავ გააქტიურდნენ ნეონაციზმის, ნეოფაშიზმის, ნეომარქსიზმის, ნეოლიბერალიზმის და სხვა სახით, ფაშიზმის ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დებატები იაპონურ ფაშიზმზე კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ამგვარად, დღესაც კი, *მემორიალის* გამოქვეყნებიდან დაახლოებით თექვსმეტი წლის შემდეგ, ის კვლავ საეჭვო და საკამათო დოკუმენტად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ალექსანდრ ტარასოვი. ფაშიზმი ბევრგვარია: https://saint-juste.narod.ru/fash-tip.htm)

Cristopher W. A. Szpilman. 2012. Some Reflections on the Question of Fascism in Modern Japanese History.1918-1941. Beregeniya 777 Sova, 4 (31) 2016 (translated intoRussian by S. V. Belkin)

Dreidemy, Lucile: *Der Dollfuß-Mythos. Eine Biographie des Posthumen.* Böhlau, Wien 2014, ISBN 978-3-205-79597-1.

История Японии; 1998. Т.II. Асоциация японоведов. Москва.

5.Hoyt, Edwin P. (2001). *Japan's War The Great Pacific Conflict*. Cooper Square Press, 62. ISBN 0-8154-1118-9.

John J. Stephan (28 November 2008) The Tanaka Memorial (1927): authentic or spurious? Published online by Cambridge University Press.

Beasley; 1987. Japanese Imperialism 1894–1945, Oxford: Clarendon Press.

Barak Kushner (2015).Men to Devils, Devils to Men:Japanese War Crimes and Chinese Justice. Harvard University Press. p. 173. ISBN 9780674728912

leonTrotsky (2008.) The Tanaka Memorial. Copyleft: Leon Trotsky Internet Archive (www.marxists.org) 2008. Permission is granted to copy and/or distribute this document under the terms of the GNU Free Documentation License.

Haruo Tohmatsu, *A Gathering Darkness* (2004) SR Books.

Cristopher W.A.Szpilman. Saaler Sven. 2011. Pan-Asianism: A Documentary History,Volume 1 & 2. Lanham. Rowman & Littlefield литература». РАН.

References:

Aleksandr Tarasov. Fazismi bevrgvaria. https://saint-juste.narod.ru/fash-tip.htm) .ალექსანდრ ტარასოვი. ფაშიზმი ბევრგვარია: https://saint-juste.narod.ru/fash-tip.htm)

Cristopher W.A. Szpilman. 2012. Some Reflections on the Question of Fascism in Modern Japanese History.1918-1941. Beregeniya 777 Sova, 4 (31) 2016 (translated intoRussian by S. V. Belkin)

Dreidemy, Lucile: *Der Dollfuß-Mythos. Eine Biographie des Posthumen.* Böhlau, Wien 2014, ISBN 978-3-205-79597-1

Istoria Japonii. 1998. История Японии. 1868-1998. Т.II. Асоциация японоведов. Москва

Hoyt, Edwin P. (2001). *Japan's War The Great Pacific Conflict*. Cooper Square Press, 62. ISBN 0-8154-1118-9.

John J. Stephan(28 November 2008) The Tanaka Memorial (1927): authentic or spurious? Published online by Cambridge University Press.

Beasley.1987. Japanese Imperialism 1894–1945, Oxford: Clarendon Press.

Barak Kushner (2015).Men to Devils, Devils to Men:Japanese War Crimes and Chinese Justice. Harvard University Press. p. 173. ISBN 9780674728912.

leonTrotsky (2008.) The Tanaka Memorial. Copyleft: Leon Trotsky Internet Archive (www.marxists.org) 2008. Permission is granted to copy and/or distribute this document under the terms of the GNU Free Documentation License.

Haruo Tohmatsu, *A Gathering Darkness* (2004) SR Books.

Cristopher W.A. Szpilman. Saaler Sven. 2011. Pan-Asianism: A Documentary History,Volume 1 & 2. Lanham. Rowman & Littlefield литература». РАН.